მთავრობის გადაწყვეტილება გააკრიტიკეს აგრეთვე სენატორებმა ჯ. მაკგოვერნმა, რ. ბერდმა და სხვებმა.

აქ აღნიშნავენ, რომ ინდოჩინეთის მარიონეტული რეჟიმებისათვის ახალი მრავალმილიონიანი თანხების მიცემა ზიანს მიაყენებს ამერიკის ეკონომიკას, რომელიც ისედაც კრიზისის ზღვარზეა. მაგალითად, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა ა. მიკვამ უაღრესად არასწორი უწოდა გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დახმარება გაუდიდონ საიგონსა და პნომპენს იმ მომენტში, როცა მცირდება ასიგნებანი შინაგანი სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის, რომელიც დაინტერესებულია მილიონობით ამერიკელი. ა. მიკვამ მთავრობის გეგმებს „სახიფათო და გაუმართლებელი“ უწოდა.

სახელმწიფო — სახელმწიფოში

ნიუ-იორკი. 31 იანვარი. (საკდესი). ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, გამოძიების ფედერალური ბიურო და პენტაგონი გადაიქცნენ თავისებურ „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“, რომელიც გადასახადის გადამხდელებს რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარი უღირთ და, იმის მიუხედავად, პრაქტიკულად მას ვერავითარ კონტროლს ვერ უწევს ვერც პრეზიდენტი და ვერც კონგრესი, განაცხადა მაიამიის იუსტიციის მინისტრმა უ. სექსბიმ. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ ორგანოთა მეფობივი თვითნებობა უშუალოდ დაკავშირებულია „მოქმედების აბსოლუტურ თავისუფლებასთან“, რომლითაც სარგებლობენ შექმნის მომენტიდანვე.

დიდმნიშვნელოვანი ძვრა

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). 13 წლის ხანგამოშვების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლათინური ამერიკის ქვეყნების რეგიონალურ ჯგუფში კვლავ დაიკავა თავისი ადგილი კუბის წარმომადგენელმა. გუშინ ამ ჯგუფის თავმჯდომარემ დონალდ მილსმა, იამაიკის წარმომადგენელმა, დანარჩენი ქვეყნების მოწონებით „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენელი ოიკარდო ალარკონი მიიწვია ჯგუფის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის პროგრამის განხილვასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაწესებულებებში არჩევითის პოსტებზე კანდიდატურების დასახელებას.

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ფოტოინფორმაცია

ინგლისში ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა ორი შრუსბერელი მუშა-მშენებლის განთავისუფლებისათვის, რომლებიც ორ წელზე მეტია დაპატიმრებული არიან საბაფიცვო პიკეტებში მონაწილეობისათვის.

სურათზე: დაპატიმრებული მუშებისადმი სოლიდარობის დემონსტრაცია ლონდონში.

საკდესის ფოტო.

ვაშინგტონი

გმოგენ რეაქციული რეჟიმების დახმარების პოლიტიკას

ბონი

ოპოზიციის უკმაყოფილება

კადის-კაბეგა

უსწორდებიან ხალხის მტრებს

მუშათა მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელები დაინტერესებული არიან იმით, რომ განვითარდეს ურთიერთხელსაყრელი, დისკრიმინაციული შეზღუდვებისაგან თავისუფალი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობა. საწარმოებში საბჭოთა შეკვეთების განლაგება უზრუნველყოფს მუშათა დასაქმებას.

დემონსტრაცია ვაშინგტონში

ვაშინგტონი. 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობასთან გაიმართა რამდენიმე ასეული მშრომელის — იმ ამერიკელთა თითქმის 7 მილიონიანი არმიის წარმომადგენელთა დემონსტრაცია, რომლებიც სამუშაოდან დაითხოვეს მზარდი ეკონომიური დაქვეითების შედეგად. ვაშინგტონის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსის, პენსილვანიის, ვირჯინიისა და სხვა შტატებიდან.

დემონსტრაციის დაწყებამდე სხვადასხვა პროფკავშირის წარმომადგენლები — უმუშევართა დელეგატები შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრს უ. საიმონს და მთელ რიგ კონგრესმენებს, რომლებსაც წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები. კაპიტოლიუმის კედლებთან გაავრცელეს ფურცლები, რომლებშიც ჩაწერილი იყო დემონსტრაციის მონაწილეთა მოთხოვნები: „უნდა გაიზარდოს დახმარება „უმუშევრობის გამო“, „არც ერთი ცენტი დახმარება საიგონს. ეს სახსრები გამოიყენეთ უმუშევარი და გაჭირვებული ამერიკელების დასახმარებლად“.

იმ დროს, როცა საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობაში კრიზისის შედეგად ამ ბოლო თვეების მანძილზე ახალი ათი ათასობით მშრომელი უმუშევარი დარჩა, „ინტერნეშნლ ჰარვესტერ კომპანიის“ ჩიკაგოს ქარხნის მუშებს აღარ მოელით უმუშევრობა. საბჭოთა შეკვეთამ ისინი სამუშაოთი უზრუნველყო ორი წლით.

გაზეთ „დეილი უორლდის“ კორესპონდენტთან საუბარში საავტომობილო, აეროკოსმოსური მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარემ ნორმ როსმა თქვა: „ეფიქრობ, რომ ჩვენმა მთავრობამ და მრეწველობამ აუცილებლად უნდა განახორციელონ შედეგები ღონისძიებანი სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებისათვის“.

„ცივი ომი“, როგორც უკვე დამტკიცებულია, — გაკოტრებული პოლიტიკაა, რომელმაც შეიძლება ჩიხში მოგვაქციოს, დასძინა როსმა. მან თქვა, რომ ქარხნის მუშები აღაშფოთა სენატორ ჯექსონის, ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მემარჯვენე ლიდერის მინისა და „ცივი ომის“ სხვა მომხრეების იმ ცდებმა, რომ ჩაფუშონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარება.

ბონი, 30 იანვარი. (საკდესი).

აღმოსავლეთთან დაახლოების კურსით

● ჰ. შმიდტის სამთავრობო განცხადება ● საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზით ● კამათი ბუნდესტაგში განცხადების გამო.

ბონი, 30 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა ბუნდესტაგის სხდომაზე გააკეთა სამთავრობო განცხადება, რომელშიც შეეხო მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა, რომელსაც დასაბამი მისცა ვ. ბრანდტ-ვ. შეელის კაბინეტმა.

ამასთან დაკავშირებით ჰ. შმიდტმა ხაზი გაუსვა, რომ საღმოსავლეთო პოლიტიკის უზრუნველყოფამ სოციალისტურ ქვეყნებთან ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების გზით ხელი შეუწყო მშვიდობის განმტკიცებას.

„ჩვენ, — განაცხადა ჰ. შმიდტმა, — არავითარი მიზეზი არა გვაქვს შეცვალოთ ეს პოლიტიკა, რადგან მან შედარებით მოკლე დროში წარმატებანი მოგვიგანა, რომელიც 50-60-იან წლებში სენსაციური იქნებოდა“.

კანცლერმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობას, და აღნიშნა, რომ ეს პროცესი ხელს შეუწყობს მეტ უშიშროებას, მშვიდობისა და ეკონომიური პროგრესის უზრუნველყოფას.

კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ისწრაფვის გაფართოვოს ეკონომიური, მეცნიერული და ტექნიკური გაცვლა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, აქტიურ ღონისძიებებს ხმარობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე და ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებაზე დადებითი შედეგების მიღწევისათვის.

მან აგრეთვე თქვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დაინტერესებულია იმით, რომ წარმატებით დამთავრდეს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება. ჰ. შმიდტი შემდეგ შეეხო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის

სიყვარული და პატივისცემა

სიმონ ჩიქოვანის კოეზიის საღამო მოსკოვში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ დღეებში მოსკოვში, ა. ფადეევის სახელობის ლიტერატურათა ცენტრალურ სახლში გაიმართა გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის პოეზიის საღამო.

აქ შეიკრიბნენ ქართველი პოეტის შემოქმედების, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები — მწერლები, ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა კ. სიმონოვმა. მან ილაპარაკა ქართული პოეზიის მნიშვნელობაზე საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის განვითარებაში, კერძოდ, შეეხო ს. ჩიქოვანის პოეტურ მემკვიდრეობას, დაახასიათა ს. ჩიქოვანი როგორც საბჭოთა პოეზიის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი.

კ. სიმონოვმა თავის გამოსვლაში აგრეთვე აღნიშნა, რომ წლეულს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭო გამართავს გამოჩენილი ქართველი პოეტების გ. ლონთქიძის, ტ. ტაბიძის და სხვათა პოეზიის საღამოებს.

ს. ჩიქოვანის შემოქმედების შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი კრიტიკოსი ბ. ჟღენტი. მან დაახასიათა ს. ჩიქოვანის ნოვატორული ძიება მხატვრული ოსტატობის დარგში, მის მიერ პოეზიაში წარმოსახული საბჭოთა საქართველოს მომხიბლავი ბუნებისა და აღორძინებული ცხოვრების მრავალფეროვანი პოეტური ხილვანი, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემას ს. ჩიქოვანის პოეზიაში და ილაპარაკა იმ ღრმა შემოქმედებითს კონტაქტებზე, რომლებიც სახელოვან პოეტს პირადად აკავშირებდა რუსულ პოეზიასთან, აგრეთვე საბჭოთა მრავალეროვნული პოეტური კულტურის საუკეთესო ოსტატებთან.

პოეტმა ე. ეტუშენკომ გულთბილი სიტყვა წარმოთქვა. მან ილაპარაკა, ქართველ და რუს მწერალთა შემოქმედებითი მეგობრობის ღრმა ფესვებზე და წაიკითხა ს. ჩიქოვანის ლექსების საქართველო თარგმანები.

დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ს. ჩიქოვანის ლექსები ქართულად, რომლებიც წაიკითხა პოეტმა ი. ნოდეშვილმა.

ს. ჩიქოვანის მხატვრული სახეების სისტემის საინტერესო ანალიზი და მისი პოეტური მემკვიდრეობის მნიშვნელობის რაობა თანამედროვე საბჭოთა პოეზიის განვითარებაში წარმოადგინა თავის გამოსვლაში მწერალმა ი. ანდრონიკოვმა, პოემა პ. ანტოკოლსკის შვიერებლთ გააცხო ქართველ მწერლებთან შემოქმედებითი მეგობრობის ამაღელვებელი ეპიზოდები, გაიხსენა 30-იანი წლების დამდეგი, როცა იწყებოდა დიდი მუშაობა საკავშირო სარბელზე ქართული საბჭოთა პოეზიის ნიმუშების ფართოდ გატანისათვის, მან წაიკითხა ს. ჩიქოვანის რამდენიმე ლექსის საქართველო თარგმანი, დაახასიათა ს. ჩიქოვანი, როგორც პოეტური ხელოვნების ოსტატი, მძაფრი აზროვნებისა და ორიგინალური მხატვრული ფორმის პოეტი.

ს. ჩიქოვანისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს და ახალგაზრდა მწერლებისადმი მის დიდ მზრუნველობაზე და განსაკუთრებულ ყურადღებაზე ილაპარაკეს რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა ა. სულეიმანმა და პოეტმა მ. ქვლივიძემ.

მოგონებები ს. ჩიქოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დამსწრეთ გაუზიარა ფეხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ პოეტმა ი. თარბამ.

კრიტიკოსმა გ. ასათიანმა ილაპარაკა ს. ჩიქოვანის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების შესახებ და აღნიშნა პოეტის განსაკუთრებული როლი თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

ს. ჩიქოვანის როგორც შემოქმედის და პიროვნების ფრიად მნიშვნელოვან თავისებურებათა შესახებ დამსწრეთ ესაუბრა კრიტიკოსი გ. მარგველაშვილი. მან ს. ჩიქოვანი დაახასიათა როგორც გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, სამწერლო ორგანიზაციებისა და ლიტერატურული პრესის ორგანიზატორი. ს. ჩიქოვანთან თავიანი შეხვედრების შესახებ გულთბილად ილაპარაკა პოეტმა ა. ტარკოვსკიმ და წაიკითხა თავის მიერ თარგმნილი ქართველი პოეტის ლექსები. პოეტმა ბ. ახმადულინამ მღელვარე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც დიდი სიყვარული და პატივისცემა ჩაქსოვა ს. ჩიქოვანის როგორც პიროვნებისა და პოეტისადმი, შემდეგ წაიკითხა საკუთარი ლექსი, მიძღვნილი მისი ხსოვნისადმი და აგრეთვე ს. ჩიქოვანის ლექსების საკუთარი თარგმანები.

დასასრულს დარბაზში გაისმა ს. ჩიქოვანის ფირზე ჩაწერილი ხმა, იგი კითხულობდა ყველასათვის ძვირფას სტრიქონებს: „ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს, ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი“.

საღამო რუსული და ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საუკეთესო ტრადიციის ერთ-ერთ ახალ ბრწყინვალე ფურცლად გადაიქცა.

ქართველი პოეტის პოეზიის საღამოს მთელი შემოსავალი მშვიდობის ფონდში გადაირიცხა.

(„კომუნისტის“ სპეც. კორ. ქ. მოსკოვი).

ქრეტენდენტთა ფინალური მატჩი

ანგარიშია 2,5:2,5

მატჩში თეორიული დავა გრძელდება. ალექსანდრიას თეორებით სიცილიური დაცვის წინააღმდეგ უხდება ბრძოლა, რომელიც ლევიტინამ, როგორც ჩანს, ამ ორთაბრძოლისათვის სპეციალურად მოამზადა.

მეხუთე პარტია დასაწყისში მესამეს დაემთხვა. მეთორმეტე სვლაზე ალექსახდრიამ ახლებურად ითამაშა და წარმოიშვა პოზიცია დინამიური წონასწორობით. შავები, როგორც ეს ამ დებიუტში წესი და რიგია, შეეცადნენ აქტიურად ეთამაშათ ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ მათი ინიციატივა ალექსანდრიამ დროულად აღკვეთა. ქართველმა მოჭადრაკემ თავის ძირითად ძალებს თავი მოუყარა ცენტრში. ლევიტინამ გადაწყვეტილება მიიღო მეფე ცენტრში დაატოვებინა. შემდეგ კი ლაზიერიც გაცვალა. ამის მიუხედავად მდგომარეობა საკმარისად დაძაბული რჩებოდა. წინა პარტიებისაგან განსხვავებით მეტოქეები უფრო სწრაფად თამაშობდნენ — ამჯერად ციტნოტში არ მოხვედრილან.

28-ე სვლაზე ალექსანდრიამ გვერდი აუარა ძლიერ გაგრძელებას, რომელიც მას ხანგრძლივ ინიციატივას აძლევდა. ქართველი მოჭადრაკის პოზიცია მიინც რამდენადმე უფრო „სასიამოვნო იყო“. იგი მხედრით შეიჭრა მეტოქის ბანაკში, ხოლო შემდეგ ეტლიც აქტიურ პოზიციაზე გადაიყვანა. მაშინ ლევიტინა მდგომარეობის შემდგომ გამარტივებას შეეცადა და კუდ გაცვალა.

პარტია გადაიდო. ალექსანდრიას პოზიცია რამდენადმე უფრო აქტიურია, თუმცა მდგომარეობა ისეთია, რომ მხოლოდ დეტალური ანალიზის შემდეგ გახდება ნათელი, შეუძლიათ თუ არა თეთრებს მოგებაზე თამაში.

მატჩის მეხუთე პარტია
ალექსანდრია — ლევიტინა
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∅f3 e6 3. d4 cd 4. ∅:d4 a6 5. ∅c3 ∅c6 6. g3 ♗c7 7. ♗g2 ∅f6 8. 0-0 ♗e7 9. ♕e1 ∅:d4 10. ♗:d4 ♗c5 11. ♗d1 d6 12. ♗g5 ∅d7 13. ♗d2 ∅e5 14. ∅a4 ♗a7 15. b3 ♗d7 16. ∅b2 h6 17. ♗e3 ♗:e3 18. ♕:e3 ♕c8 19. ♕c1 ∅ge7 20. h3 ♔hd8 21. f4 ∅c6 22. ♕d1 ♗e8 23. ∅gh2 ♗a5 24. ♗d3 ♗:d2 25. ♕3:d2 e5 26. ∅c4 ∅d4 27. c3 ∅b5 28. fe de 29. ∅b6 ♕b8 30. ∅d5+ ∅gf8 31. a4 ∅a7 32. a5 ∅b5 33. ∅gg1 ♗c6 34. ♕d3 ♕bc8 35. ∅b6 ♕:d3 36. ♕:d3 ♕c7 37. ∅gf2 f5 38. ef ♗:g2 39. ∅g:g2 ♕:c3 40. ♕d8+ ∅ge7.

ამ პოზიციაში ალექსანდრიამ ჩაწერა 41-ე სვლა.

შეხვედრის განახლებისას ალექსანდრიამ ტექნიკურად უნაკლოდ წარმართა დაბოლოება. საინტერესო მანევრებით მან თამაშიდან გამორთო მეტოქის ეტლი, მიაღწია მატერიალურ უპირატესობას და გაიმარჯვა.

ამრიგად ანგარიში გათანაბრდა 2,5:2,5.

აი, როგორ მიმდინარეობდა მეხუთე პარტიის დამთავრება.

41. ♕d7+ ∅gf8 42. ♗c4 e4 43. ♗e5 e3 44. ∅g6+ ∅ge8 45. ♕:g7 ♕c2+ 46. ∅gf3 ♕f2+ 47. ∅g:e3 ♕:f5 48. ♗f4 ♗d6 49. ♕g6 ∅f7 50. b4 ♕b5 51. ♗d3 ∅ge7 52. h4 h5 53. ∅ge4 ♗d6+ 54. ∅gd4 ♕f5 55. ♗f4 ♕b5 56. ♗d5+ ∅gd7 57. ♕g7+ ∅ge6 58. ♕g6+ ∅gd7 59. ♕g5 ♗f7 60. ♕:h5 ∅gd6 61. g4 შავები დანებდნენ.

დღეს პრეტენდენტები ისვენებენ. მორიგი მეექვსე შეხვედრა დანიშნულია კვირისათვის. თეთრებით ითამაშებს ლევიტინა.

გ. გამრეკელი.

ტიტულიც და... რეკორდიც

კოპენჰაგენი, 30 იანვარი. (საკადესის კორ.). მოსკოველებმა ირინე როდნინამ და ალექსანდრე ზაიცევმა კვლავ დაადასტურეს, რომ უძლიერესი ორიან კონტინენტზე სპორტულ წყვილთა შორის. საბჭოთა მოცეკვავეებმა 141,86 ქულა მოაგროვეს (ადგილთა ჯამი — 9) და პირველნი იყვნენ როგორც მოკლე, ისე ნებისმიერ პროგრამაში. ამ გამარჯვებამ თავისებური რეკორდიც მოიტანა — როდნინა მეშვიდეჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი! მისი პარტნიორი კი — მესამედ.

მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყვილებმა: რომი კერმერ-როლფ ესტერაიხმა და მანუელა გროს-უვე კაგელმანმა. მათი შედეგები შესაბამისად ასეთია: 139,85 (18) და 135,41 (33).

ჟოვალიოვის „ოქრო“

კოპენჰაგენი, 31 იანვარი. (საკადესის სპეც. კორ.). ერთეულთა ფიგურული ციგურაობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად საბჭოთა სპორტსმენი ავიდა ევროპის პირველობის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მოსკოველმა ვლადიმერ კოვალიოვმა, რომელმაც დიდებულად შეასრულა ნებისმიერი პროგრამა და მოაგროვა 233,49 ქულა (ადგილების ჯამი 11), ოქროს მედალი დაიმსახურა. თუმცა ლენინგრადელმა იური ოვჩინიკოვმა, წარუმატებლად აიღო სტარტი „სკოლაში“, მაგრამ დაამტკიცა თავისი ოსტატობა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა — 227,38 ქულა (ადგილების ჯამი 27). მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა სერგი ვოლკოვმა მეოთხე ადგილი დიკავა — 225,85 (32). მეორე ადგილი წილად ხვდა ინგლისელ ჯონ კარის — 229,48 (20).

სპორტის სასახლის თაღებქვეშ



სურათზე: სასახლის სამ ხალიჩაზე.

ა. კავკასიძის ფოტო.

გაიხსნა თბილისის XIV საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

გუშინ საღამოს თბილისის სპორტის სასახლეში კვლავ გაისმა საზეიმო მარშის ხმა — სარბიელზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ XIV საერთაშორისო ტურნირში მონაწილე გუნდები — ამერიკის შეერთებული შტატების, ირანის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონგოლეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს საუკეთესო ფალავნები.

შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე ი. სარაჯიშვილი, რომელმაც თბილისის XIV საერთაშორისო ტურნირი გახსნილად გამოაცხადა.

უკვე დღისით სპორტის სასახლემი გაიმართა პირველი შეხვედრები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო პირველი საშუალო წონის მოჭიდაველების — თბილისელი რ. მარსაგიშვილისა და ირანელი ბ. ზარაგშანის შეხვედრა. აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა ჩვენმა ფალავანმა. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ლ. თედიაშვილმა (მეორე საშუალო) დამაჯერებლად მოუგო გროზნოელ ა. უციევს, ვ. მარშანიამ (მეორე საშუალო) გ. შპინდლერს (გდრ), ხოლო რ. მოსეშვილმა (ქვემძიმე) ამერიკელი ბ. ეოლში ხალიჩას გააკო... 15 წამში.

საღამოს გაიმართა მეორე წრის შეხვედრები. კვლავ წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს ლ. თედიაშვილმა, რ. დობოჯანიძემ და ვ. მარშანიამ, რომლებმაც დაამარცხეს შესაბამისად გ. შპინდლერი, ჟ. დამდინსურენი (მონგოლეთი) და ა. უციევი.

მცირე უპირატესობით დასთმეს საღამოს ბრძოლები ი. ლეგაშვილმა (ქვემსუბუქი წონა) ორჯონიკიძელ ვ. ოუმინთან და ნ. მოდებაძემ (მძიმე წონა) კიეველ ბ. გიგაევთან.

დღეს შეჯიბრების მეორე დღეა.

სხვა გაზეთებიდან

ტივით ატლანტის ოკეანე ზე

სამი კაცისაგან შემდგარმა ეკიპაჟმა 81 დღეში ტივით გადალახა ატლანტის ოკეანე.

ორი ბელგიელი და ერთი მაროკელი ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში მაროკოდან გავიდნენ ოკეანეში და ამ დღეებში ჩავიდნენ ტრინიდადში. მათს ტივს ჰატარა იალქანი ჰქონდა. როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ბელგიელმა ოერლემანმა განაცხადა, მათი ოპერაციის მიზანი იყო შეეგროვებინათ დაკვირვებები მოგზაურობის ამსახველი წიგნისათვის, გაეკეთებინათ ატლანტის ოკეანის გაბუშტყიანების ანალიზი და შეესწავლათ როგორ იქცევიან ადამიანები მაშინ, როცა მოწყვეტილი არიან დანარჩენ გარემოს. ამ ექსპედიციის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „ნოიე-რურ-ფაიტუნგმა“.

ლომები ლომებად რჩებიან

„ნუ გაუღვიძებ მხეცურ ინსტინქტს“. თუ ხანდახან ასეთ ფრაზას ამბობენ ადამიანებზე. მით უმეტეს ეს ეკუთვნის მხეცებსაც, თუნდაც ისინი გაწვრთნილი იყონ. ქალაქ ფრეეიუსის (სამხრეთი საფრანგეთი, ვარის დეპარტამენტი) კერძო ზოოპარკის დირექტორმა უგულებელყოფს ეს ჭეშმარიტება და მკაცრად დაისაჯა.

თითქმის ყოველდღე იგი გალიიდან ვოლიერში უშვებდა ოთხ ლომს, რომ დამთვალიერებლებს „თავისუფალ“ მდგომარეობაში ენახათ ისინი. საღამოს კი უკანვე აბრუნებდა მათ. ამისათვის იგი თვითონ მოდიოდა სპეციალურად აღჭურვილი ჯიპით.

კაცმა არ იცის, როგორ მოხდა, რომ იმ დღეს თავის თანაშემწესთან ერთად გადაწყვიტა ჯიპის დატოვება ღობის იქით და ვოლიერში შიშველი ხელით შესვლა. დანარჩენი უცებ მოხდა. ოთხი ლომი თავს დაესხა ორ უიარაღო ადამიანს. ბრძოლა უთანასწორო იყო და სწრაფად დამთავრდა. როცა განგაშის ხმაზე მეზობელი ზოოპარკის დირექტორმა მოირბინა კარაბინით ხელში, ისეა მოახერხა, რომ ორი დაფლეთილი გვამისათვის დაემატებინა ოთხი ლომის გვამი და მწარედ ეთქვა: „ლომებთან, თუნდაც ისინი ხელზე გაკვდეს შეჩვეული, ხუმრობა არ შეიძლება“.

(„სელსკაია ჟიზნ“).

ასეც ხდება...

ასეთი შეხვედრა მოხდა გზაზე აფრიკის ერთ-ერთ ნაკრძალში.

კამერა პრესის ფოტო.

ალკოჰოლი და მხედველობა

ამერიკელი ფსიქოლოგი დონალდ სუსმანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანის მიერ მიღებულ ალკოჰოლის რაოდენობაზე დამოკიდებულია თვალის ხამხამის სიხშირე. ამ ფაქტორს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მანქანის საჭესთან ჯდომის დროს.

სპეციალური ექსპერიმენტის საშუალებით დაადგინეს, რომ აბსოლუტურად ფხიზელი ადამიანი საშუალოდ ოთხ წამში ერთხელ ახამხამებს თვალს. საკმარისია ადამიანმა მცირე დოზით მიიღოს ალკოჰოლი, რომ ეს რიცხვი ორჯერ იზრდება, ხოლო მესამე ჭიქის შემდეგ თვალის ხამხამი თითქმის შვიდჯერ იზრდება. („ტრუდ“).

იცით თუ არა, რომ...

... გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჭაობომ „შპენტა-შლოტჰაიმმა“ დაიწყო უჩვეულო ჭადრაკის დაფების გამოშვება. ისინი იმათთვის არის გათვალისწინებული, ვისაც ბუნების წყალში, სუფთა ჰაერზე უყვარს ჭადრაკის თამაში. ახალი დაფის ფართობი ათი კვადრატული მეტრია, ხოლო ფიგურების სიმაღლე საშუალოდ 60 სანტიმეტრს აღწევს. ფიგურების გადაადგილება ძალიან ადვილია, რადგან ისინი პოლიეთილენისაგან არის დამზადებული („სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“.)

ს. ჩიქოვანი

60 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული ექიმი, სკკპ წევრი 1948 წლიდან, საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის წევრი სამსონ ათამონიძე ჩიქოვანი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ს. ჩიქოვანმა მოახმარა სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი თავდადებულ სამსახურს. 1941 წელს დაამთავრა რა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, იგი დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე გახდა სამხედრო ქირურგი, თავდადებულად იბრძოდა ადამიანთა სიცოცხლისათვის, იჩენდა დიდ მამაცობასა და გულადობას.

ომისშემდგომ პერიოდში ს. ჩიქოვანი იმავე თავდადებით, როგორც ფრონტზე, განაგრძობდა სამშობლოს მეომრების ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

ომის ვეტერანი, იგი 25 წელზე მეტ ხანს ედგა სათავეში შეიარაღებული ძალების ჯანმრთელობის კერებს.

როგორც მოსკოვის სამხედრო ოლქის სოხუმის სანატორიუმის უფროსმა, მან დიდი წვლილი შეიტანა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის განვითარების საქმეში.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მის დამსახურებას, დაჯილდოვა მთავრობის ბევრი ჯილდოთი, ორდენებითა და მედლებით. იგი არაერთგზის იყო არჩეული სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ს. ჩიქოვანი ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით, მაღალი მომთხოვნელობით თავისი თავისა და ხელქვეითებისადმი, გულისხმიერებითა და განსაკუთრებული ყურადღებით ადამიანებისადმი.

მან მოიპოვა სანატორიუმის თანამშრომლთა და დამსვენებელთა დიდი კოლექტივის, მებრძოლი მეგობრების, თანამოსამსახურეებისა და ყველა ამათი სიყვარული და პატივისცემა, ვინც მას იცნობდა.

ს. ჩიქოვანის, ხალხის ერთგული შვილის, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ნათელი სხეული სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ვ. ხინკბა, ბ. შინაკუბა, შ. თათარაშვილი, ა. საჯაია-ლელიძე, ლ. საროჩინკო, მ. მანაკინი, ვ. მურუსიძე, რ. ნიორაძე, შ. ჩაგელიშვილი, პ. ბალაბუხა, ვ. ბარისოვი, მ. გოლიკი.

ოლიმპიადები

უგედურება დაუდევრობით

სახანძრო დაცვის ცენტრალურ სადისპეტჩერო პუნქტში შეტყობინება მოვიდა, ქ. თბილისში, მე-2 ხეივნის შესახვევის № 3-ში ავტომობილსახურების ტექნიკური საგზური № 12 იწვესო. ყველაფერი დროზე იღონეს და ხანძარი ჩააქრეს.

ავტომობილსახურების ტექნიკური საგზურის მექანიკოსი რობერტ გარეგინის-ძე სარქისოვი მძიმედ დაშავდა — ავტოცხლმა სახე დაუწვა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. როგორც გამოირკვა, დაზარალებულმა რ. სარქისოვმა დაარღვია სახანძრო უშიშროების წესები — მანქანის ძრავა ბენზინით გარეცხა, რაც ხანძრის წარმოქმნის მიზეზი გახდა.

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში ხანძარმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სოფლის კლუბს, სასოფლო საბჭოსა და ბიბლიოთეკას. ხანძარი ელექტროგაყვანილობის წესების უხეში დარღვევის გამო გაჩნდა.

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა **გეგეჭკორის** რაიონის სოფელ ვეფიკარში მცხოვრებ ზ. ჯ-ს ბინაში, სადაც ჩაკეტილ სახლში ანთებულ ღუმელთან უმეთვალყურეროდ იყო დატოვებული საძი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც ავტოცხლმა იმსხვერპლა.

სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის ასეთი საკვალაო შედეგები მოსდევს.

ა. ხოუშტარია.

როცა ავტობუსი იწვოდა...

ეს დიღმის მასივთან მოხდა. ბორჯომის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსს მგზავრები მიეყვნენ. გამსკდარი ავტოსაბურავისაგან მანქანას ცეცხლი მოედო. მძღოლი ჯუმბერ ხარაზოვი არ დაიბნა, ავტობუსის კარები უმალვე გააღო და ხალხი გარეთ გამოიყვანა, შემდეგ კი ალმოდებული მანქანა თბილავტომობილსახურების მექანიკური სამრეცხაოს ტერიტორიაზე შეიყვანა.

მექანიკური სამრეცხაოს უფროსმა ი. გელუკაშვილმა და მექანიკოსმა გ. ღარიბაშვილმა, მუშებმა ა. კასოევმა, რ. იაშალაშვილმა, მ. ზარიძემ, იდა იადალაზოლიმ, ასრათიან სულემან ოღლიმ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ავტობუსი დაწვისაგან გადაერჩინათ.

ი. ივანიშვილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

თქვენთვის, ბავშვებო!

პიონერული თეატრი — „მერცხალი“

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სამიოდე წლის წინათ კარგი თაოსნობა გამოიჩინა ზესტაფონის მეორე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობამ, რომელმაც სკოლაში შექმნა მხატვრული თვითმოქმედი პიონერული თეატრი „მერცხალი“. მას უნარიანად უძღვება უფროსი პიონერხელმძღვანელი ლ. მახარაძე, მუსიკალური ხელმძღვანელია ლ. უკლება, მხატვარი — ჯ. კახნიაშვილი, ქორეოგრაფი — ვ. მექოშვილი.

პიონერულმა თეატრმა ნორჩ მაყურებლებს უჩვენა ლ. უსტინოვის „თავისუფალი ცა“, ხოლო ახლახან კულტურის სახლის სცენაზე წარმოადგინა გ. ჭიჭინაძის „ციცქნა ია დღეობა“ და „ცრუ მზისა“.

ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად თეატრს განზრახული აქვს ნორჩ მაყურებელს უჩვენოს მ. სვეტლოვის ჰეროიკული პიესა „ისინი კომკავშირელები იყვნენ“.

ხეში ჭაბალი ჩაიდგეს...

ჯვინდი თეგერვალში

დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია: დაბლობ რაიონებში მინუს 2—პლუს 2 გრადუსი, მთიან რაიონებში 2-4 გრადუსი ყინვა, მაღალმთიან რაიონებში 6-9 გრადუსი ყინვა.

1-10 თებერვალს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის დასაწყისში და მეორე ნახევარში ქართლის ვაკის, მაღალმთიან რაიონებში ზამთრის, ადგილ-ადგილ ნალექი, ზემოთ აღნიშნულ თოვლის სახით. ტემპერატურა დეკადის პირველ ნახევარში: დაბლობ რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით ნული —5 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში — ღამით 7-12 გრადუსი ყინვა, დღისით მინუს 4-პლუს 1 გრადუსი; დეკადის მეორე ნახევარში: დაბლობ რაიონებში ღამით ნული —5 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში — ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

11-20 თებერვალი — დროგამოშვებით მოსალოდნელია ნალექი, ალაგ-ალაგ — თოვლის სახით. ტემპერატურა დეკადის დასაწყისში დაბლობ რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი, დღისით 14-19 გრადუსი სითბო. მთიან რაიონებში: ღამით მინუს 2 პლუს—3 გრადუსი, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

21-28 თებერვალი — ცვალებადი მოღრუბლულობა. დეკადის დასაწყისში უნალექო ამინდია მოსალოდნელი. დანარჩენ დღეებში კი დროგამოშვებით იწვიმებს, ალაგ-ალაგ — ნისლი. ტემპერატურა: დაბლობ რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი, დღისით 9-14 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით ნული —5 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

ალმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია: დაბლობ რაიონებში მინუს 2—პლუს 2 გრადუსი, მთიან რაიონებში 2-4 გრადუსი ყინვა, მაღალმთიან რაიონებში 6-9 გრადუსი ყინვა.

1-10 თებერვალს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის დასაწყისში და მეორე ნახევარში ქართლის ვაკის, მაღალმთიან რაიონებში დროგამოშვებით მოვა თოვლი. ტემპერატურა: ქართლის ვაკის პირველ ნახევარში: ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებში, ზამთრის საძოვრებზე და მთიან რაიონებში ღამით 8-13 გრადუსი, დღისით 0-5 გრადუსი ყინვა; დანარჩენ დაბლობ რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 1-4 გრადუსი სითბო, დეკადის მეორე ნახევარში ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებსა და ზამთრის საძოვრებზე ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო იქნება.

11-20 თებერვალი — დეკადის შუა რიცხვებში დროგამოშვებით მოვა თოვლი, ალაგ-ალაგ ჩამოწვება ნისლი. დანარჩენ დროს უმეტესად უნალექო ამინდი იქნება. ტემპერატურა დეკადის დასაწყისში ქართლის ვაკის აღმოსავლეთ რაიონებში: ღამით ნული —5 გრადუსი, დღისით 9-14 გრადუსი სითბო. დანარჩენ დაბლობ რაიონებში: ღამით მინუს 2 პლუს—3 გრადუსი, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

21-28 თებერვალი — დეკადის შუა რიცხვებში დროგამოშვებით იწვიმებს დანარჩენ დროს უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ტემპერატურა ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებში და ზამთრის საძოვრებზე ღამით ნული—5 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

ვ. გოგოტიშვილი,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

თბილისის სათამაშოების ფაბრიკის პროდუქციას კარგად იცნობს მომხმარებელი. ფაბრიკა უშვებს 38 სახის ბავშვის სათამაშოს პლასტმასის, პლასტიკატის, კაპრონის, ბეწვისას... მალე წარმოებას შეემატება 2 ახალი საწარმოო კორპუსი აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით, რაც ფაბრიკას საშუალებას მისცემს აამაღლოს პროდუქციის ხარისხი.

სურათებზე: ახალი საგორავი სათამაშო — „აბა დამიცადე!“; ფაბრიკის პროდუქცია; წუნმდებელი ლ. არჩვაძე ახარისებს ხელოვნური კაპრონის გრძელბეწვიან სათამაშოებს.

ს. კილაძის ფოტო.

ანგარიში

ვ. სანეევი — ვედიგედ მეშვიდედ

ამერიკული სპორტული ჟურნალის „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსის“ იანვრის ნომერი მიეძღვნა მძლეოსნობაში შარშანდელი წლის შედეგების შეჯამებას. ჟურნალის ყოველწლიური კონკურსის მონაწილეთა აზრით საბჭოთა სპორტსმენები საუკეთესონი იყვნენ ხუთ სახეობაში.

ამ ბეჭდვითი ორგანოს ჟურნალისტებმა საუკეთესო სამმაგ მხტომელად ზედიზედ მეშვიდედ დასახელეს თბილისელი ვიქტორ სანეევი.

სპორტულ სიარულში უძლიერესად აღიარებულია ვლადიმერ გოლუბნიჩი, ჭოკით ხტომაში — ვლადიმერ კიშკუნი, სიგრძეზე ხტომაში — ვალერი პოდლუჟნი, უროს ტყორცნაში— ალექსი სპირიდონოვი.

არმიელთა სპარტაკიადა

გულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მეომარი სპორტსმენები გამოვლენ მეგობარი არმიების ზამთრის მეხუთე სპარტაკიადის სტარტზე, რომელიც მოეწყობა 24 თებერვლიდან 1-ლ მარტამდე.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

30 იანვარს გაიმართა „სპორტლოტოს“ ტირაჟი. მისი შედეგები:

„სპორტლოტო“ — 16 (ტანვარჯიში), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 15 (წყალბურთი), 9 (ჭიდაობა), 39 (სამბო), 34 (ხელბურთი).

„სპორტლოტო-2“ — 26 (მოტობოლი), 36 (სპიდვეი), 30 (საალქნო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 3 (აკრობატიკა).

მომდევნო ტირაჟი გაიმართება 12 თებერვალს. (საკადესი).

მოკლედ

● **კიევის** „სპარტაკის“ ხელბურთელ გოგონათა გუნდი გაგრძელებს ბრძოლას ევროპის ჩემპიონთა თასისათვის. მათ განმეორებით მატჩში ანგარიშით 14:10 დაამარცხეს ხოტუვეის (ბოლონეთი) „რუხი“. პირველ მატჩშიც გაიმარჯვეს საბჭოთა ხელბურთელებმა — 15:12.

● **